

ასერტულობის კავშირი მოსწავლეთა თვითშეფასებასა და აკადემიური
შფოთვის დონესთან

იზა გორგოძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

როგორც, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ჩემი დამოუკიდებელი მუშაობის შედეგია. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა და ანალიზი განხორციელდა ჩემს მიერს და სრულიად დავიცავი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური ეთიკის პრინციპები. ნაშრომში გამოყენებული წყაროები შესაბამისად არის მითითებული და არ შეიცავს ისეთ ტექსტებს, რომლებიც არის სხვა ავტორების და არ არის ციტირებული წესების შესაბამისად.

მადლობა

მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი აკადემიურ ხელმძღვანელის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ქალბატონი დარეჯან კახიანის მიმართ, რომლის ხელმძღვანელობა და ურყევი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი იყო ჩემი კვლევისა და ამ ნაშრომის მომზადების პროცესში. მისმა დროულმა და კონსტრუქციულმა უკუკავშირმა ხელი შეუწყო ჩემი ნაშრომის ხარისხს და დროულ ვადებში დასრულებას.

გარდა ამისა, მადლობა მინდა გადავუხადო სკოლას, რომელმაც გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო და თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც გამოიჩინეს პასუხისმგებლობა და დამეხმარნენ მონაცემების შეგროვების პროცესში.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	5
შესავალი.....	7
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
ასერტულობა.....	8
თვითშეფასება.....	10
აკადემიური შფოთვა.....	11
ასერტულობის კავშირი აკადემიურ შფოთვასთან.....	13
ასერტულობის კავშირითვითშეფასებასთან.....	14
თვითშეფასების კავშირი აკადემიურ შფოთვასთან.....	15
სქესთაშორისი განსხვავებები ასერტულობის, თვითშეფასებისა და აკადემიური შფოთვის მიხედვით.....	16
საკვლევი კითხვა.....	19
კვლევის ჰიპოთეზები.....	19
მეთოდი.....	20
მონაწილეები.....	20
პროცედურა.....	20
ინსტრუმენტები.....	20
შედეგები.....	21
მრავლობითი რეგრესული ანალიზი.....	22
დამოუკიდებელი შერჩევის T კრიტერიუმი.....	26
დისკუსია.....	29
კვლევის შეზღუდვები და სამომავლო გეგმები.....	32

დასკვნა.....	34
გამოყენებული ლიტერატურა.....	35
დანართი.....	38

აბსტრაქტი

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მოსწავლის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა. თვითშეფასება და აკადემიური შფოთვა ერთმანეთთან მჭირდროდ დაკავშირებულ კონსტრუქტს წარმოადგენენ, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ, როგორც აკადემიურ მიღწევებზე ისე ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ამ ჭრილში კი ასერტულობა, როგორც ინდივიდის უნარი ცხადად, დაუფარავად და სხვების პატივისცემით გამოხატოს საკუთარი აზრები, გრძნობები, შეხედულებები თუ დამოკიდებულებები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. როგორც კვლევები ცხადყოფს ასერტულობა დადებით გავლენას ახდენს ინდივიდის ფსიქოსოციალურ საკითხებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თვითშეფასების ჩამოყალიბებას და განვითარებას, აღნიშნული კი ხელს უწყობს აკადემიური შფოთვის შემცირებას. ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 119 რესპოდენტი, რომლებიც იყვნენ ქართული საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები (7,8,9 კლასები). პრედიქტორისა და შედეგის ცვლადების საკველვად გამოვიყენე შესაბამისი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ასერტულობა არის თვითშეფასების დადებითი პრედიქტორი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლის ასერტულობის გაზრდით თვითშეფასებაც იზრდება. ხოლო მეორე შემთხვევაში ასერტულობა არის აკადემიური შფოთვის უარყოფითი პრედიქტორი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასერტულობის გაზრდით აკადემიური შფოთვა მცირდება. მონაცემთა რეგრესული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თითოეული ცვლადის შემთხვევაში სქესსტაშორისი განსხვავებები სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონეს აღწევს მხოლოდ აკადემიური შფოთვის შემთხვევაში. კონკრეტულად მდედრობითი სქესის მოსწავლეები განიცდიან უფრო მაღალ შფოთვას, ვიდრე მამრობითი სქესის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ასერტულობა, თვითშეფასება, აკადემიური შფოთვა.

Abstract

The psychological well-being of students plays an important role in the process of their academic achievement. Self-esteem and academic anxiety represent closely related construct, which significantly affect both academic achievements and life experiences. From this perspective, assertiveness as an individual's ability to express their thoughts, feelings, opinions, and attitudes clearly, openly, and with respect for others holds an important role. As research shows, assertiveness has a positive effect on an individual's psychosocial well-being, which in turn contributes to the development and strengthening of self-esteem, ultimately helping to reduce academic anxiety. As part of our research, 119 respondents were surveyed, all of whom were students in the basic level of Georgian public schools (grades 7, 8 and 9). To examine the predictor and outcome variables, relevant questionnaires were used. The data analysis revealed that assertiveness is a positive predictor of self-esteem, indicating that an increase in a student's assertiveness is associated with a higher level of self-esteem. In the second case, assertiveness was found to be a negative predictor of academic anxiety, indicating that as assertiveness increases, academic anxiety decreases. Regression analysis showed that gender differences reached statistical significance only in the case of academic anxiety, while no significant differences were observed for the other variables. Specifically, female students experience higher levels of academic anxiety compared to their male counterparts.

Main keywords: assertiveness, self-esteem, academic anxiety.